საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

4239-05-2-201608260915

N 4239/05

26/08/2016

ს.ს.ი.პ. „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"–ს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურს

თქვენი 09/08/2016 წლის
N6/41109 წერილის შესახებ

თქვენი 09/08/2016 წლის N6/41109 წერილის შესახებ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დაბა სტეფანწმინდაში მდებარე 118720 კვადრატული მეტრი დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის გასხვისების და მშენებლობის წარმოების პირობების თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნული 118720 კვ. მ. მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი მდებარეობს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" (სსე) საკუთრებაში მყოფი, 110 კვ ძაბვაზე მოქმედი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (სეგხ) "დარიალი"–ს (N74.00.004 ხაზობრივი ნაგებობა) სადენების ქვეშ და ხაზის დაცვის ზონაში (იხილეთ თანდართული ნახაზი). აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის გასხვისებისას აუცილებელია სავალდებულოდ გათვალისწინებული იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების („ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები") მოთხოვნები. კერძოდ:

1. ზემოაღნიშნული წესების თანახმად, თითოეულ ელექტროგადამცემ ხაზს გააჩნია თავისი დაცვის ზონა. ***110 კვ ძაბვის სეგხ–ის დაცვის ზონად დადგენილია საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 20 (ოცი) მეტრით***;

2. სეგხ–ის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის შეუფერხებელი მუშაობის მოშლა (აკრძალულ სამუშაოთა ჩამონათვალი იხილეთ წესების მე–4 მუხლის პირველ პუნქტში);

3. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია სეგხ–ის დაცვის ზონაში რამე სახის შენობა–ნაგებობის განთავსება (სასტუმრო, ბანკი, კვების, სავაჭრო, საზოგადოებრივი ობიექტები და სხვა), ასევე, ნებისმიერი დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების (ტირ პარკი, ავტოსადგომი, ავტო შემკეთებელი ობიექტები და სხვა), ადამიანთა/ცხოველთა თავშესაყრელი ადგილების ან სამშენებლო მოედნის მოწყობა;

4. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მომზადდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების პროექტი სსე–ს პირობების გათვალისწინებით და სავალდებულოდ უნდა შეთანხმდეს სსე–სთან. ადამიანების და სატრანსპორტო საშუალებების სამოძრაო გზა უნდა დაპროექტდეს სეგხ–ის დაცვის ზონის გარეთ და ასევე, მიმდებარედ დაპროექტებული 500 კვ–იანი ქვესადგურის ტერიტორიის გვერდის ავლით. აუცილებლობის შემთხვევაში, საავტომობილო გზის მიერ სეგხ–ის ტრასის გადაკვეთა დასაშვებია შესრულდეს 60–90 გრადუსიანი კუთხით. ამასთან, ვერტიკალური (შვეული) დაშორება სეგხ–ის ყველაზე დაბლა დაკიდებული სადენიდან საავტომობილო გზის ზედაპირამდე უნდა იყოს არანაკლებ 12 (თორმეტი) მეტრი. აღნიშნული მანძილის დაცვის შეუძლებლობის შემთხვევაში, მიწათმესაკუთრემ საკუთარი ხარჯით უნდა მოახდინოს სეგხ–ის ამაღლება (ანძების ჩამატება), სსე–სთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით;

5. მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრის ის ნაწილი, რომელიც მოქცეულია სეგხ–ის დაცვის ზონაში, დასაშვებია შემოიღობოს ხის ან/და სხვა მსუბუქი, არაკაპიტალური და დენგაუმტარი (დიელექტრიკული) მასალისაგან დამზადებული ღობით. შემოღობვის სამუშაოების წარმოებისას და მისი დამთავრების შემდგომ უპირობოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სეგხ–ის ანძებთან, სადენებთან და ხაზის ნებისმიერ მონაკვეთთან მისასვლელი გზების არსებობა (არანაკლებ 3 მეტრი სიგანის), მანქანა–მექანიზმების თავმოყრისა და ხაზზე გადაიარაღების, ტექნიკური მომსახურების, კაპიტალური და ავარიულ–აღდგენითი სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების შესაძლებლობით;

6. სეგხ–ის დაცვის ზონაში სამუშაოების დაწყებამდე მესაკუთრემ წინასწარ, სავალდებულო სატელეფონო შეტყობინებით უნდა აცნობოს სსე–ს თბილისის რეგიონალური ქსელის ელექტროგადამცემი ხაზების საექსპლუატაციო ბრიგადის უფროსს ბატონ ***ოლეგ წამალაიძეს, ნომერზე: 577 10 23 57***, რომელიც საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით ან/და პირადად ადგილზე მისვლის შემდგომ, შეამოწმებს სამუშაო ადგილს და სათანადო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში განახორციელებს მომუშავეთა დაშვებას სეგხ–ის დაცვის ზონაში სამუშაოებზე;

7. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობის დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“ მთლიანობაში აწესრიგებს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონებში სამუშაოთა წარმოების პირობებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. ასევე, წესების მე–4 მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული ცალკეული სამუშაოები (შესაბამისი პირობების დაცვით) შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის (სსე) წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. უსაფრთხოების მიზნით, სამუშაოთა წარმოებისას სავალდებულოა ელექტრული ქსელის მფლობელი პირის წარმომადგენლის დასწრება;

8. სეგხ–ის დაცვის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთი დასაშვებია გამოყენებული იქნას სამეურნეო დანიშნულებით, ერთწლიანი სასოფლო–სამეურნეო მცენარეული კულტურების მოყვანის ან/და არაუმეტეს 4 (ოთხ) მეტრამდე სიმაღლის ხეხილის ბაღის გაშენების მიზნით. აღნიშნული ხეხილის ბაღის გაშენების შემთხვევაში, სსე–ს წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს

განახორციელონ ხეხილის გადაბელვისა და სეგხ–ის შეუფერხებელი მუშაობისათვის აუცილებელი სხვა სათანადო სამუშაოები;

9. სეგხ-ის დაცვის ზონის სიახლოვეს სამუშაოთა წარმოებისას ნებისმიერ შემთხვევში, სავალდებულოდ დაცული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების („ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობის დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“) სხვა დანარჩენი მოთხოვნებიც;

10. აუცილებლობად მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული პირობების და შეზღუდვების არსებობის შესახებ მითითებული იქნას 118720 კვ. მ. მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე ს.ს.ი.პ. „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“–ს მიერ გამოცემულ შესაბამის ადმინისტრაციულ აქტებში, მიწათმოსარგებლესთან დასადებ ხელშეკრულებაში და მიწის ნაკვეთის თაობაზე მომზადებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში. ამასთან, აღნიშნული მასალების ასლი უნდა გადმოიგზავნოს სსე–ში.

მიწათმოსარგებლის მიერ ზემოთ მითითებული პირობების განუხრელად შესრულების ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" წინააღმდეგი არ არის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დაბა სტეფანწმინდაში მდებარე 118720 კვ. მ. მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისა.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი